ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N12

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 15.03.2018 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - *ალექსანდრე ლილუაშვილი.*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კობა ძაგნიძე, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე, გელა ღვიტიძე, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი. აპოლონ რამიშვილი.

(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი **კობა მაღლაკელიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი -**ივანე მამფორია.**
მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი -**მიხეილ სვანაძე.**
მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის,იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი **მარინა ღვინიანიძე**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. /ივანე მამფორია/

2.„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: /დავით გაბუნია/

3. ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 11 მარტის N13 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის თაობაზე."

მომხს: /გიორგი ივანიაძე/

4.,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ".

მომხს:/გელა ჩიკვაიძე/

5.,,ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N19 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ".

მომხს:/გელა ჩიკვაიძე/

6.,,ვანის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N24 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ".

მომხს:/გელა ჩიკვაიძე/

7.,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე."

მომხს:/გელა ჩიკვაიძე/

8.,,მზრუნველობამოკლებულთა კვების უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 6 განკარგულებაში დამატების შეტანის თაობაზე.

მომხს: /მიხეილ სვანაძე/

9. ,,მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2018 წლის მენიუს და მოქალაქეთა სახელობითი სიის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N27 71 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს: /მიხეილ სვანაძე/

10. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 10 განკარგულებით დამტკიცებული ,,სამედიცინო დახმარების პროგრამის" 7.1 პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს: /მიხეილ სვანაძე/

11. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 13 განკარგულებით დამტკიცებული ,,სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: /მიხეილ სვანაძე/

12. ,,ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 თებერვლის N 27 26 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

13.სხვადასხვა.

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხზე მომხსენებელმა ვანო მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა რჩება უცვლელი, ხოლო გადასახდელების ნაწილში განხორციელდება შემდეგი სახის ცვლილებები:
ა) მუნიციპალიტეტის მერიის ასიგნებებში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯები მცირდება 189,0 ათასი ლარით და ამავე თანხით იზრდება შრომის ანაზღაურების მუხლი, რაც გამოწვეულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის თანამდებობის შტატგარეშე მომუშავედან პროფესიულ საჯარო მოხელის თანამდებოდად გარდაქმნით.
დ) ინფრასტრუქტურული პროექტების ზედამხედველობის განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხები 257,5 ათასი ლარის ოდენობით, საქონლისა და მომსახურების მუხლიდან იმავე დანიშნულებით მიიმართება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N93)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხზე მარინა ღვინიანიძემ (მოხსენებლის დავით გაბუნიას საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზრაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძირითადი ცვლილება დებულებაში არის ის, რომ მერიის წარმომდგენლები ადმინსტრაციულ ერთეულებში, რომლებთანაც გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება, ჩაისვა შტატში, როგორც საჯარო მოხელეები.
1. შევიდეს ცვლილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილების დანართი N1, დანართი, დანართი N2 და დანართი N3-ში და დამტკიცდეს წარმოდგენილი დანართი N1, დანართი

N2, და დანართი N3-ის შესაბამისად.
2. დანართი N1, დანართი N2 და დანართი N3-ის მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 01 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(დანართი: დადგენილება N94)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხზე მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 11 მარტის N13 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ დანართის მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტები: მწვანე ნარგავების დამზადება, დამზადებული მწვანე ნარგავების გადაზიდვა, დამზადებული მწვანე ნარგავების გადამზიდავი პირი, დამზადებული მწვანე ნარგავების მიღება-ჩაბარების დოკუმენტი, გადაზიდვის ადგილი, უფლებამოსილი ორგანო, საშეშე მერქანი, სამასალე ხე, ნახევრადსამასალე ხე. ასევე 22-ე მუხლი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით ,,სპეციალური და მოვლითი ჭრის შედეგად მიღებული, ძირნაყარი, ჩამორთმეული ან/და ინსპექტირებით გამოვლენილი უკანონოდ მოპოვებული მწვანე ნარგავების განთავსება და განკარგვა“.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 11 მარტის N13 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის თაობაზე.“

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 11 მარტის N13 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის თაობაზე."

(დანართი: დადგენილება N95)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხზე მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ". მომხსენებელმა აღნიშნა , რომ დადგენილებაში უფრო ტექნიკური ხასიათის ცვლილებებია. კერძოდ, გამგეობა შეიცვალა მერიით და გამგებელი მერით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ".

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ".

(დანართი: დადგენილება N96)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხზე მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N19 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ".

მომხსენებელმა აქაც აღნიშნა, რომ დადგენილებაში შევიდა ტექნიკური ხასიათის ცვლილებები. კერძოდ, გამგეობა შეიცვალა მერიით და გამგებელი მერით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის

ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N19 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება .,,ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N19 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

(დანართი: დადგენილება N97)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი .,,ვანის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N24 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა რომ ამ დებულებაშიც შევიდა ტექნიკური ხასიათის ცვლილებები:

გემგეობა-- მერია.

გამგებელი--მერი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს .,,ვანის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N24 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება .,,ვანის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N24 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ“.

(დანართი: დადგენილება N98)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეშვიდე საკითხთან მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე."

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ძალადაკარგულად გამოაცხადა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 23 ნორმატიული აქტი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე."

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე."

(დანართი: დადგენილება N99)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მერვე საკითხთან მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,მზრუნველობამოკლებულთა კვების უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 6 განკარგულებაში დამატების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დებულებას დაემატა შემდეგი პუნქტები:

„ცნობად იქნეს მიღებული, რომ მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს მენიუ დამტკიცდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 27 71 განკარგულებით".
„უფასო სასადილოთი მოსარგებლე მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა სახელობითი სიის დამტკიცების უფლებამოსილება მიენიჭოს ვანის მუნიციპალიტეტის მერს".
წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ,,მზრუნველობამოკლებულთა კვების უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 6 განკარგულებაში დამატების შეტანის თაობაზე.

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,მზრუნველობამოკლებულთა კვების უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 6 განკარგულებაში დამატების შეტანის თაობაზე.

(დანართი: განკარგულება N 27 37)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეცხრე საკითხთან მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2018 წლის მენიუს და მოქალაქეთა სახელობითი სიის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N27 71 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.მომხსენებელმა აღნიშნა, რომ:

„მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2018 წლის მენიუს და მოქალაქეთა სახელობითი სიის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 27 71 განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2018 წლის მენიუს დამტკიცების შესახებ".

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2018 წლის მენიუს და მოქალაქეთა სახელობითი სიის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 27 71 განკარგულების მე-2 პუნქტი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ,,მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2018 წლის მენიუს და მოქალაქეთა სახელობითი სიის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N27 71 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2018 წლის მენიუს და მოქალაქეთა სახელობითი სიის დამტკიცების შესახებ" ვანის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N27 71 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.მომხსენებელმა

(დანართი: განკარგულება N 27 38)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეათე საკითხთან მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 10 განკარგულებით დამტკიცებული ,,სამედიცინო დახმარების პროგრამის" 7.1 პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამსახურის დებულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

,,ძალადაკარგულად გამოცხადდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 10 განკარგულებით დამტკიცებული ,,სამედიცინო დახმარების პროგრამის" 7.1 პუნქტი."

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 10 განკარგულებით დამტკიცებული ,,სამედიცინო დახმარების პროგრამის" 7.1 პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 10 განკარგულებით დამტკიცებული ,,სამედიცინო დახმარების პროგრამის" 7.1 პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

(დანართი: განკარგულება 27 39)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთერთმეტე საკითხთან მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 13 განკარგულებით დამტკიცებული ,,სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში" ცვლილების შეტანის თაობაზე."

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში შეტანილია შემდეგი ცვლილება:

ა) პროგრამის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ის ოჯახები, რომლებსაც დაუზიანდათ ერთადერთი საცხოვრებელი სახლი (ბინა), სადაც ცხოვრობდნენ და სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ.

ბ) პროგრამის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ფინანსური დახმარება დაზარალებულს მიეცემა ერთჯერადად. დახმარების ოდენობა განისაზღვროს ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 ლარის, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით. დახმარების ოდენობას განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 მარტის N 20 370 ბრძანებით შექმნილი სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი და შენობა-ნაგებობების დეფექტური აქტების შემდგენი მუდმივმოქმედი კომისია.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 13 განკარგულებით დამტკიცებული ,,სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში" ცვლილების შეტანის თაობაზე."

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 13 განკარგულებით დამტკიცებული ,,სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამაში" ცვლილების შეტანის თაობაზე."

(დანართი: განკარგულება 27 40)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთორმეტე საკითხთან მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 თებერვლის N 27 26 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა წარმოადგინა ცვლილებები ამ დებულებაში:

განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N 27 14 განკარგულებით დამტკიცებულ ,,ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე"; განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„შეტანილ იქნეს ცვლილებები ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N 27 14 განკარგულებით დამტკიცებულ ,,ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამაში" და ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად".
წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ,,ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამის

დამტკიცების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 თებერვლის N 27 26 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 თებერვლის N 27 26 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

(დანართი: განკარგულება 27 40)

დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხზე ,,სხვადასხვა'' სიტყვა მიეცა სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტს გელა ბარაქაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტში სულ სახნავ-სათესი ფართობი არის 477 ჰექტარი.აქედან დღეის მდგომარეობით მოხნულია 148 ჰექტარი, რაც ძალიან ცოტა მაჩვენებელია. 63 ერთეული ტექნიკა არის აღრიცხვაზე და აქედან ხვნა-თესვას ემსახურება 20 ერთეული. რა თქმა უნდა ამ ტექნიკით ვერ შევძლებთ აღნიშნული ფართობის დამუშავებას. ამიტომ შ.პ.ს ,,მექანიზატორი“, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტშია, დაგვპირდა დახმარებას. 2-3 დღით ადრე გადავცემთ სიას, თუ რამდენი ფართობია დასამუშავებელი და გამოგვიგზავნიან შესაბამის ტექნიკას. დახვნის სამუშაოები 15 მარტიდან იწყება და 25 მაისამდე უნდა დამთავრდეს.

ფასები ასეთი იქნება. 1 ჰექტარის დახვნა -140 ლარი.

1 ჰექტარის დაფარცხვა -70 ლარი.

1 ჰექტარის დათესვა -70 ლარი.

შემდეგი მომხსენებელი იყო კობა მაღლაკელიძე.

შეგახსენებთ, რომ საკრებულომ წინა სხდომაზე მიიღო დეპუტატების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი. ყოველი თვის 20 რიცხვამდე ჩემთან 2-ჯერ უნდა იქნას წარმოდგენილი ამომრჩეველთან შეხვედრების საოქმო ჩანაწერები, რომელსაც ხელს აწერს მინიმუმ სამი ამომრჩეველი. გარდა ამისა, უნდა წარმომიდგინოთ მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია საკრებულოს და საკრებულოს კომისიების რიგგარეშე სხდომებში, ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობისათვის. ასევე სამსახურეობრივი სხვა დავალებების შესრულებისათვის გაწეული ხარჯების შესახებ , რასაც უნდა ახლდეს დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გთხოვთ გაითვალისწინოთ ეს ყოველივე რათა მოხდეს თქვენთვის კუთვნილი ანაზღაურების დროული დარიცხვა.

დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ეს ყოველივე, რათა მოხდეს თქვენთვის კუთვნილი ანაზღაურების დროული დარიცხვა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე